შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

Limited Liability Company

**INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY**

IBSU

№ / ნომერი: 015/01/646

Date / თარიღი: 25.08.2015

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორს, ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განახლებულ ანკეტა-კითხვარს და ანოტაციას 2015-2016 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) კომპაქტ-დისკი, (22) ფურცელი

პატივისცემით,

უნივერსიტეტის რექტორი ილიას ჩილოღლუ

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ/№2
თბილისი, საქართველო
ტელ: (+99532) 2595006 / 2595007 / 2595008

Address: D. Agmashenebeli Alley 13th km.
No: 2 Tbilisi, GEORGIA

| | |
|---|---|
| ...ესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა: | კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ...ესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება: | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| ...ო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი | დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ., №2, თბილისი, 0131; ტელ: +995 32 2595005/06/07 |
| ...ტა | contact@ibsu.edu.ge |
| ...ვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | ილიას ჩილოღლუ, 558957035, rector@ibsu.edu.ge |
| ...ქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | დიანა მჭედლიშვილი, ტელ: 599110829, ელ. ფოსტა: dmtchedlishvili@ibsu.edu.ge |
| ...ური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის | მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით წარმოადგენს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აპლიკაციის შევსებულ ფორმას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ისარგებლებს 20%-იანი შეღავათით. |

| | | | | | | | | სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი | | | სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები | | | | | უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება | | | იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...სტრო პროგრამის ...ება, რომელზედაც ...ის წელს მოხდება ...ტობის კანდიდატთა მიღება | სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება | მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება | აკრედიტებულია თუ ავტორიზებულია | დაფინანსება | სწავლების ენა | წლიური გადასახადი | სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა | A ტიპის ტესტი | B ტიპის ტესტი | C ტიპის ტესტი | სულ | წაკითხულის გააზრება | ანალიტიკური წერა | ლოგიკური მსჯელობა | რაოდენობრივი მსჯელობა | სულ | სპეციალობა | უცხო ენა | |
| | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | | | | | | | | |
| ...ი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 30 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ...ი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | აკრედიტებული | დიახ | ქართული | 4500 | 30 | | v | | | | | | | 100 | 70 | 30 | |
| ...გი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 30 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ...ტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 30 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ...იული ...ების მენეჯმენტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 10 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ...რული მეცნიერება | მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა | ინჟინერიის მაგისტრი კომპიუტერულ მეცნიერებაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 12 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორისო<br>ობები და პოლიტიკა | სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა) | სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4200 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| მცოდნეობა | ჰუმანიტარული | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 5 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| შეერთებული<br>აგარეო<br>ობები | ჰუმანიტარული | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ლი ფილოლოგია | ჰუმანიტარული | მაგისტრი თურქულ ფილოლოგიაში | აკრედიტებული | დიახ | თურქული | 3540 | 6 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ური ფილოლოგია | ჰუმანიტარული | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ების მენეჯმენტი | განათლება | განათლების მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ური ენის სწავლების | განათლება | განათლების მაგისტრი ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ესი განათლების<br>ირება | განათლება | განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 15 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ოლოგია | ჰუმანიტარული | კავკასიოლოგიის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| მაციული<br>იების მენეჯმენტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ქართული | 4500 | 10 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ტერული მეცნიერება | მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა | ინჟინერიის მაგისტრი კომპიუტერულ მეცნიერებაში | აკრედიტებული | დიახ | ქართული | 3540 | 10 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ი განათლების<br>ირება | განათლება | განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში | აკრედიტებული | დიახ | ქართული | 3540 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| ბითი კომერციული<br>ი | სამართალი | სამართლის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ქართული, ინგლისური კომპონენტებით | 4500 | 10 | | | v | | | | | | 100 | 60 | 40 | |

ესების თარიღი: 25.08.2015

რექტორი დოქტ. ილიას ჩილოღლუ

ბ.ა.

ლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი: 064

ლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ური მისამართი და ტელეფონი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ., №2, თბილისი, 0131; ტელ: +995 32 2595005/06/07

რდი: www.ibsu.edu.ge

სტა: contact@ibsu.edu.ge

ტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა): დიანა მჭედლიშვილი, ტელ: 599585211, ელ. ფოსტა: dmtchedlishvili@ibsu.edu.ge

| ტრო პროგრამის დასახელება | მიზანი | სწავლის შედეგი | კრედიტების რაოდ. | ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ |
|---|---|---|---|---|
| ...ები (...ურენოვანი) ...იზაცია: 1. ... საქმე; 2. ...ევო საქმე | [illegible] ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. უკანასკნელ წლებში საქართველოს საფინანსო სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში (საბანკო სისტემის წამყვანი როლით) სტაბილურად მზარდია. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ფინანსისტთა კადრებზე საჯარო სამსახურებისა და კერძო სამართლის პირთა (კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო საბანკო ფირმების, აქტივების მმართველო კომპანიების, საინვესტიციო კომპანიების, ერთობლივი ფონდების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სალიზინგო კომპანიების და სხვა) მხრიდან.<br><br>ფინანსებში სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ფინანსური გარემოს მზარდ პრაქტიკულ მოთხოვნებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საფინანსო სფეროების (საბანკო საქმე, სადაზღვევო ბიზნესი, კაპიტალის ბაზარი, კორპორაციული ფინანსები და სხვა) ღრმა და სისტემური ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.<br><br>სწავლების პროცესში გაითვალისწინებული იქნება სტუდენტების მისწრაფებები და სურვილები, საფინანსო ბაზრებისა და ინდუსტრიის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა.<br><br>პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლება საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის ფინანსისტებად, რომლებიც შეძლებენ გადაწყვიტონ მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა .<br>სწავლის პროცესში სტუდენტებს მოუწევთ სერიოზული დამოუკიდებელი მუშაობა რათა შეიძინონ შესაბამისი თეორიული ცოდნა და უნარები.<br>პროგრამის ერთერთი ძირითადი ამოცანა მაქსიმალურად დაუახლოვოს | **ცოდნა და გაცნობიერება** - სტუდენტს გააჩნია [illegible] ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგის, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვ.<br>აქვს საფინანსო სფეროს (თეორიები, სტრატეგიები, კონცეფციები, თანამედროვე პრობლემები და ტენდენციები და სხვა) ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>**დასკვნის უნარი** - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;<br>უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და სათანადო დასკვნების გაკეთება.<br>**კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.<br>**სწავლის უნარი** - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და თვითშეფასება, და სხვა; | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №07)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 24.05.2011 - ოქმი№2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...ნსებზი<br>...ლენოვანი)<br>...ლიზაცია: 1.<br>... საქმე; 2.<br>...ევო საქმე | [illegible] ... ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. უკანასკნელ წლებში საქართველოს საფინანსო სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში (საბანკო სისტემის წამყვანი როლით) სტაბილურად მზარდია. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ფინანსისტთა კადრებზე საჯარო სამსახურებისა და კერძო სამართლის პირთა (კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო საბანკო ფირმების, აქტივების მმართველო კომპანიების, საინვესტიციო კომპანიების, ერთობლივი ფონდების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სალიზინგო კომპანიების და სხვა) მხრიდან.<br><br>ფინანსებში სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ფინანსური გარემოს მზარდ პრაქტიკულ მოთხოვნებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საფინანსო სფეროების (საბანკო საქმე, სადაზღვევო ბიზნესი, კაპიტალის ბაზარი, კორპორაციული ფინანსები და სხვა) ღრმა და სისტემური ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.<br><br>სწავლების პროცესში გაითვალისწინებული იქნება სტუდენტების მისწრაფებები და სურვილები, საფინანსო ბაზრებისა და ინდუსტრიის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა.<br><br>პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლება საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის ფინანსისტებად, რომლებიც შეძლებენ გადაწყვიტონ მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა .<br>სწავლის პროცესში სტუდენტებს მოუწევთ სერიოზული დამოუკიდებელი მუშაობა რათა შეიძინონ შესაბამისი თეორიული ცოდნა და უნარები. პროგრამის ერთერთი ძირითადი ამოცანაა მაქსიმალურად დაუახლოვოს სტუდენტი პრაქტიკას, როგორც საჯარო და კერძო სექტორის | **ცოდნა და გაცნობიერება** - სტუდენტს გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგის, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვ.<br>აქვს საფინანსო სფეროს (თეორიები, სტრატეგიები, კონცეფციები, თანამედროვე პრობლემები და ტენდენციები და სხვა) ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>**დასკვნის უნარი** - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;<br>უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და სათანადო დასკვნების გაკეთება.<br>**კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.<br>**სწავლის უნარი** - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და თვითშეფასება, და სხვა;<br>შეუძლია გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამებზე როგორც | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 06.04.2012 (გადაწყვეტილება №58)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 22.06.2010 - ოქმი №1 |
| | | საკითხებთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი თემების განხილვა და ანალიზი.<br>- სტუდენტს თავისუფლად სძალუძს წაკითხული მარკეტინგული ინფორმაციის შემდეგ თავისუფლად გაანალიზოს კორპორაციისათვის საჭირო საკითხები, იმგვარად რომ შექმნას, გამოჰყოს და განსახილველად მოამზადოს მარკეტინგული პრობლემა როგორც მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.<br>- სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს მარკეტინგული ინსტრუმენტები, მარკეტინგისა და მენეჯმენტის წინაშე მდგარი პრობლემის გადასაჭრელად.<br>- სტუდენტს შეუძლია განიხილოს საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სასაქონლო გაცვლითი ურთიერთობები იმგვარად რომ დაინახოს მათში პოზიტიური და ნეგატიური საკითხები | | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №05) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...ვეტინგი<br>...ისურენოვანი)<br>...ლიზაცია: 1.<br>...ინგული<br>...; | მარკეტინგი ბიზნესის გზამკვლევი და ბიზნესმენთა წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. მარკეტინგის სპეციალისტები დღეს ბიზნესის მმართველ ძალას წარმოადგენენ და ისინი ნებისმიერი განვითარებული საწარმოს უმაღლესი დონის მმართველები არიან. შესაბამისად იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მარკეტოლოგებზე, როგორც კორპორაციების ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და წარმატებისათვის.<br>მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მარკეტოლოგის აღზრდას, რომელსაც ექნება ყველა ის უნარ-ჩვევა რაც ასე საჭიროა არა მარტო ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზარზე საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, წარმატებით იმუშაოს კორპორაციასა თუ სახელმწიფო | კორპორაციული განვითარებისათვის.<br>- სტუდენტს უნარი აქვს გააცნობიეროს და ნაყოფიერად გამოიყენოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია, იმუშაოს ნებისმიერ მარკეტინგულ ორგანიზაციასა თუ დეპარტამენტში, და თავისუფლად მიიღოს მნიშვნელოვანი კორპორაციული გადაწყვეტილებები<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება ისეთი კომპეტენციები და უნარები როგორიცაა:<br>- მარკეტინგული კვლევების ჩატარება, მსოფლიოს ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი:<br>- ორგანიზაციის მისიისა და მიზნების, განსაზღვრა, ორგანიზაციის ბიზნეს გეგმისა და მარკეტინგული გეგმის შექმნა;<br>- ორგანიზაციის მარკეტინგული სტრატეგიისა და საბაზრო ქცევის ტაქტიკური გეგმის მომზადება.<br>- კორპორაციის მარკეტინგ-მენეჯმენტით მართვის უნარი: მიზნების ფორმულირება; მათი გადაწყვეტის შესაბამისი | 120 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლამა და ადოებასთან ერთობა | [illegible] ორგანიზაციის მარკეტინგის დეპარტამენტში და ყოველ ღონეს მიმართავს ბაზრის მოთხოვნის სრულად შეცნობისა და დაკმაყოფილებისათვის.<br>პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბაზრო პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის კონკურენტუნარიან მარკეტოლოგებად, რომლებიც შეძლებენ ეფექტიანად გადაჭრან მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ შესწავლილი მასალა . | ამოცანების, გზებისა და შედეგების განსაზღვრა; პროდუქტის დაგეგმვა და მართვა;<br>- საბაზრო რისკების შეფასების უნარები;<br>- ბრენდის შექმნა მისი ვირტუალური იდენტობის, ორგანიზაციული ოდენტობისა და კორპორაციული იმიჯის ჩამოყალიბება.<br>- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებით ბრენდის გავლენის გაძლიერება და ბრენდის ქცევის წესების გეგმის დასახვა.<br>- ბრენდის განვითარების კონტროლისა და მონიტორინგის უნარ ჩვევები.<br>- მარკეტინგის საშუალებით ფასეულობების შექმნა და მდგრადობის მიღწევა ბაზარზე.<br>**დასკვნის უნარი** - მონაცემების შეგროვება, მათი პროფესიონალური ანალიზი და დასკვნების გაკეთება;<br>- პრობლემების დასმა , საფრთხეების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;<br>- მარკეტინგისათვის ანალიტიკური მასალების მომზადება;<br>- კორპორაციის, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის საბაზრო ქმედებების ანალიზი, მარკეტინგული სტრატეგიების მოძიება და გამოყენება.<br>- მარკეტინგული პოზიციის არგუმეტირება და დაცვა და სხვა.<br>**კომუნიკაციის უნარი** - მშობლიურ და ინგლისურ ენაზე დაუფლებულია მარკეტინგის ტერმინოლოგიას და ფრაზეოლოგიას, სტუდენტს სძალუძს პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დასკვნის წერილობითი მომზადება და განსჯისათვის საჭირო ინფორმაციის ზეპირად, ასევე წერილობით გადაცემა.<br>სტუდენტს შეუძლია ინგლისუენოვან სტუდენტურ [illegible] | | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მენტი<br>ურენოვანი)<br>იზაცია:<br>შორისო ბიზნესის<br>ტი;<br>ბიზნესის | პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი და თანამედროვე პროფესიული და აკადემიური კარიერისათვის აუცილებელითეორიული და პრაქტიკული ცოდნა, უნარ-ჩვევებიდა სათანადო კვალიფიკაცია მენეჯმენტის სფეროში, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა მათ შეძლონ ხვალინდელი, საერთაშორისო დონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ლიდერობა თანამედროვე, კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში ეფექტიანი საქმიანობისათვის და წარმატებით გადალახონ ყველა ის მოულოდნელობები და უპასუხონ იმ გამოწვევებს, რასაც საწარმოებსა თუ ორგანიზაციებს უმზადებს თანამედროვე, სწრაფადცვლადი ბიზნეს-გარემო. პროგრამის იმპლემენტაციის დროს დიდი ყურადღება დაეთმობა მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, ახლი ბიზნესის ჩამოყალიბებას და განვითარებას, ბიზნეს გარემოს შესწავლასა და შესაბამის გამოცდილებას, საერთაშორისოეკონომიკურ დასაფინანსო პრობლემებს და მის გავლენას ბიზნეს გარემოზე, საბაზრო პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის კონკურენტუნარიან, უმაღლესი დონის მენეჯერებად, რომლებიც შეძლებენ ეფექტიანად გადაჭრან მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ შესწავლილი მასალა.<br>განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიზნეს ქეისებზე მუშაობას, პრაქტიკული ამოცანების განხილვას და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლოებსისე, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგის/სპეციალობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები გახდნენ ნებისმიერი განვითარებული საწარმოს უმაღლესი დონის მმართველები, ეფექტიანი ლიდერები, ე.წ. „ტოპ-მენეჯერები", რომლებიც შეძლებენ:<br>☐ ბიზნეს-პროცესების სტრატეგიულ მთლიანობაში გააზრებას და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებასა და იმპლემენტაციას;<br>☐ ეფექტიანად და კრეატიულად აზროვნებას და კომუნიკაციას, წერასა და საუბარს;<br>☐ საზოგადოების ჰარმონიული არსებობისა და განვითარებასათვის აუცილებელი სოციალური, ეთიკური და მორალურ ფასეულობათა პატივისცემასა და დამკვიდრებას;<br>☐ განავითარონ პასუხისმგებლობისა და თვითგანათლების უნარი; | ადმისტრირების მიმართულების დარგების/სპეციალობების:მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და ბიზნესის სხვა ფუნქციონალური სფეროების თეორიულ საფუძვლებს და მათი პრაქტიკაში გამოყენების პროფესიულ უნარ-ჩვევებს;<br>- გაცნობიერებულია ბიზნესის გარემოს, ბაზრებთან და ინსტიტუტებთან დაკავშირებულ მენეჯერულ, მარკეტინგულ და ფინანსურ თეორიებში, კონცეფციებში, ძირითად სტრატეგიებსა და პრინციპებში;<br>- იცის დიდი, საშუალო და მცირე ბიზნეს ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული მენეჯერული, მარკეტინგული და ფინანსურ ასპექტები;<br>- იცის ბიზნესის კონცეფციის ჩამოყალიბების, პრობლემების გარკვევის, ანალიზის და პროგნოზირების მეთოდები და მათი ბიზნესის მართვის მიზნით გამოყენება;<br>- ინფორმირებულია როგორც გლობალური ასევე ქვეყნის ბიზნეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და ეკოლოგიური გარემოს შესახებ.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვისათვის აუცილებელი უნარჩვევებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრი, სახელდობრ:<br>- ბიზნეს-ორგანიზაციის ადმინისტრირებისა და მართვისსრულყოფილი უნარები: ბიზნეს-კომპანიების ფუნქციონირების არსის იდენტიფიცირება, სტრატეგიის შემუშავება, შესაძლებლობების განსაზღვრა ბაზრებისა და კონკურენტული გარემოს ანალიზის საფუძველზე, უკუკავშირის შესაძლებლობების გამოყენებით ბიზნეს-სტრატეგიის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება;<br>- მთავარიმენეჯერული უნარები: კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პროექტებისა და კადრების სათანადო მართვა, ანალიზისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ორგანიზება, ანალიზი, ბაზრის შესაძლებლობების პროგნოზირება და ადეკვატური სტრატეგიებისა და ალტერნატიული ქმედებების ჩამოყალიბება და განხორციელება.;<br>- მთავარიორგანიზაციულ-ფინანსური უნარები: საფინანსო ანგარიშების მომზადების ორგანიზება,ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია,<br>საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ.;<br><br>- პროექტების მართვის სრულყოფილი უნარი: ბიზნეს ხედვის, მისიისა და მიზნების ფორმულირება; კრიტერიუმების განსაზღვრა; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; პროექტის იმპლემენტაციის სრული კალენდარული გრაფიკის დაგეგმვა, მართვა და კორექტირება; პროექტის იმპლემენტაციისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა და მართვა და სხვ.;<br><br>- ორგანიზაციის კორპორაციული მართვის დონეზე მდგარი სტრატეგიული პრობლემის იდენტიფიცირებისა და დიაგნოსტირების უნარი. პრობლემის გადასაჭრელად კადრების ორგანიზებისა და შესაბამისი მეთოდების გამოყენების უნარი;<br>- კორპორაციულ და სტრატეგიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგის უნარი.<br>კურსდამთავრებულები შეძლებენ:<br>- განსაზღვრონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტები და ფაქტორები, გამოიკვლიონ ბიზნესის მამოძრავებელი ძალებისა და ხელშემშლელი მოვლენების („ხმაურის") ზემოქმედებების ეფექტები მათი ურთიერთდამოკიდებულების ფორმა და შინაარსი;<br>- გააცნობიერონ და განსაზღვრონ მენეჯმენტის გლობალური როლი ორგანიზაციაში; | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>01.02.2012<br>(გადაწყვეტილება №06) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიონალი, ეთიკური და სტრატეგიულად მოაზროვნე მენეჯერების მომზადებით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოში ცივილიზებული, კონკურენტუნარიანი ბიზნესის შემდგომ განვითარებას, რაც ქვეყნის ძლიერებისა და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის საფუძვლებს წარმოადგენს. | -ორგანიზება გაუწიონ კომპანიის საფინანსო-საბანკო-სადაზღვევო ურთიერთობებს და წარმართონ შესაბამისი კრიტერიუმების საფინანსო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სტრატეგია;<br>- ჩამოაყალიბონ ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები; შეაფასონ კომპანიის საფინანსო და სტრატეგიული რისკები ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე;<br>- წარმართონ ორგანიზაციისსტრატეგიული და ფინანსური მართვა, თავიდან აიცილონ ან/და გაანეიტრალონ ნეგატიური ორგანიზაციული თუ ფიანანსური მოვლენები კომპანიის მართვის პროცესში;<br>- იმსჯელონ ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკის, მათთვის<br>დამახასიათებელი გამოვლენის ფორმების, ძირითადი ტენდენციების და სამომავლო<br>პერსპექტივების შესახებ, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;<br>**დასკვნის უნარი** - კურსდამთავრებულს შეეძლება:<br>- ბიზნეს საქმიანობისათვის საჭირო მონაცემების მოპოვება და დამუშავების ორგანიზება, გაანალიზება, ინტერპრეტაცია და სათანადო დასკვნების გაკეთება;<br>- ბიზნეს საქმიანობის პრობლემების იდენტიფიკაცია და დიაგნოსტირება, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების განსაზღვრა;<br>- კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბება და მოსალოდნელი შედეგებისგანსაზღვრა, ალტერნატიული სტრატეგიების შერჩევა, მოკლე და გრძელვადიანი გეგემების შედგენის ორგანიზება;<br>- ანალიტიკური მასალების მომზადება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება;<br>- ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიული და საფინანსო შედეგების ანალიზი, რესურსებისა და ფინანსების საჭიროებების განსაზღვრა, მათი წყაროების მოძიება და სხვ.<br>**კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებულს | | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...რმაციული<br>...ოგიების<br>...ტი<br>...ურენოვანი) | პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს მენეჯმენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებსა და საქართველოს სპეციფიკას, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს. კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>• პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ინფორმაციულ ტექნოლოგიების მენეჯმენტში.<br>• ყურადღება დაეთმოს სწრაფადცვლად საბაზრო პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე, საერთაშორისო მოთხოვნების შესაფერის კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში,რომლებიც შეძლებენ ეფექტურად გადაჭრან სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.<br>• განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბიზნეს ქეისებზე მუშაობას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, პრაქტიკული ამოცანების განხილვას და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს ისე, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეძლონ:<br>☐ ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი საშუალებების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენება;<br>☐ ბიზნეს-პროცესების სტრატეგიულ მთლიანობაში გააზრება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება და იმპლემენტაცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით;<br>☐ ეფექტიანად და კრეატიულად აზროვნება და კომუნიკაცია;<br>☐ საზოგადოების ჰარმონიული არსებობისა და განვითარებასათვის აუცილებელი სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა და დამკვიდრება;<br>☐ განავითარონ პასუხისმგებლობისა და თვითგანათლების უნარი;<br>☐ სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში. | **ცოდნა და გაცნობიერება** აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.<br>სტუდენტი შეიძენს:<br>- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ღრმა და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც მისცემს მას ახალი იდეების შემუშავების საშუალებას და წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერებას;<br>- ცოდნას ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერულ თეორიებში, კონცეფციებში, ძირითად სტრატეგიებსა და პრინციპებში;<br>- ცოდნას სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული მენეჯერული ასპექტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.<br>სტუდენტი გააცნობიერებს საერთაშოროსო და ადგილობრივი ტექნოლოგიური გარემოს სპეციფიკას.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრი, სახელდობრ:<br>- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სრულყოფილი უნარი, ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების განსაზღვრა კონკურენტული გარემოს ანალიზის საფუძველზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების იმპლემენტაცია, მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება;<br>- კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თანამედროვე | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>27.05.2014<br>(გადაწყვეტილება №115)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>27.02.2014 - ოქმი #3 |
| | პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა კომპიუტინგის მათემატიკურ და მეცნიერულ პრონციპებში. კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ პოტენციური ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, არქიტექტურების,<br>[illegible] | **ცოდნა და გაცნობიერება** - კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები შეიძენენ ღრმა და სისტემურ ცოდნას და უნარ-ჩვევებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებებით. ექნებათ ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალება. ასევე, კურსდამთავრებული მოახერხებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერებას. აღნიშნული ცოდნა გახდება წინაპირობა იმისა, რომ სტუდენტებმა სურვილის შემთხვევაში ცოდნა გაიღრმავონ დოქტორანტურაში.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - კომპიუტერული | | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>01.02.2012<br>(გადაწყვეტილება №08)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.05.2011 - ოქმი #2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პიუტერული<br>რება<br>სურენოვანი) | ინფორმაციული სისტემების გამოყენება პრაქტიკაში. პროგრამული ენების, მონაცემთა ბაზების, ქსელური პროტოკოლების, მომხმარებელი/სერვერის ნაწილების არქიტექტურის კომბინაციის გამოყენებით სტუდენტებს უნდა შეეძლოთ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.<br>პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიაზრონ ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე შეინარჩუნონ პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტები და წვლილი შეიტანონ პროფესიის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში.<br>მოამზადოს სტუდენტები სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.<br>მოამზადოს სტუდენტები კომპიუტერების გამოყენებით პრობლემების ფართო სპექტრის გადასაჭრელად.<br>მოამზადოს სტუდენტები კომპლექსური ამოცანების ეფექტურად მომუშავე კომპიუტერული სისტემების ტექნიკის დიზაინისთვის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად. | მეცნიერების პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ თავისი საქმიანობის სფეროში ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>**დასკვნის უნარი** - კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სხვადასხვა დარგობრივი პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიება და გამოყენება. რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კურსდამთავრებულებს შეეძლებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მეცნიერების სხვადასხვა დარგის ამოცანების სამეცნიერო კვლევა.<br>**კომუნიკაციის უნარი** - კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო- | 120 | |
| | | გააჩნია პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც თავის მხრივ, მაგისტრანტს საშუალებას აძლევს შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები;<br>• გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტის (სახელმწიფო სტრუქტურები, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური მოძრაობა და სხვა) როგორც საშინაო, ასევე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის, კომპეტენციების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა;<br>• გააჩნია უნარი, განსაზღვროს და მოიძიოს ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მიმართულებით არსებული დისციპლინების კვლევის საგნისა და ობიექტის შესახებ: პოლიტიკური ინსტიტუტები, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური აზრისა და დიპლომატიის ისტორიის, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა.<br>• გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნა და უნარი გააანალიზოს მათი ურთიერთზემოქმედება;<br>• მაგისტრანტს აქვს საფუძვლიანი ცოდნა მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, რითაც მომავალი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი შეიქმნის მყარ საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;<br>• ფლობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში არსებულ სათანადო ტერმინოლოგიასა და მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს, ასევე გააჩნია ღრმა ცოდნა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის შესახებ.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** • სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; | | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>01.02.2012<br>(გადაწყვეტილება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშორისო<br>თობები და<br>კა<br>ურენოვანი) | სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სათანადო სამეცნიერო კვლევის განხორციელებას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, გადასცეს მაგისტრატურის სტუდენტებს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მიმართულებით. პროგრამა იძლევა საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, მსოფლიოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების დარგში თანამედროვე პროცესების შესახებ და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ძირითად პრიორიტეტებს და ჩვენი ქვეყნის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.<br>პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და სათანადო კვალიფიკაცია. ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისობაში, რაც სრულ შესაბამისობაშია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო და კვლევითი ურთიერთობების ხელის შეწყობას საერთაშორისო დონეზე და სამეცნიერო კვლევების განვითარებას.<br>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დამოუკიდებელი სამუშაო (სხვადასხვა სახის პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები, აწარმოონ კვლევა) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოყალიბებული ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უნარი. ამისთვისსაჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული ცოდნა, რაც უზრუნველყოფილია პროგრამაში აღსებულ სასწავლო კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება საგანმანათლებლო სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი.<br>სწორედ ასეთი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი სჭირდება დასაქმების ბაზარს. | • აქვს უნარი, მუშაობის პროცესში დაინახოს პრობლემები მიღებული ცოდნის საფუძველზე;<br>• შეუძლია აღნიშნული პრობლემის არსის სრულყოფილად ჩამოყალიბება და მისი საფუძვლის განსაზღვრა;<br>• შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება, მოამზადოს ანალიტიკური ხასიათის მასალები (პუბლიკაციები, სტატიები);<br>• აქვს უნარი, მოიძიოს პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ინფორმაცია და ალტერნატიული გზები მათი არსებობის შემთხვევაში;<br>• შეუძლია პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დამოუკიდებლად მოამზადოს მოხსენება და პრეზენტაცია და მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში;<br>• შეუძლია სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზება;<br>• შეუძლია დასაქმდე სსხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციაში, საერთაშორისო ურთიერთობების, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში (მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში და ა.შ), ასევე სხვადასხვა სამინისტროებისა თუ სხვა სახელმწიფო უწყებების საგარეო ურთიერთობათა შესაბამის სამსახურებში, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა.შ.<br>• შეუძლია საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება;<br>• შეუძლია სხვადასხვა დონის, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი და სამთავრობათშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობა;<br>• შეუძლია საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის შემთხვევაში დიპლომატიური ნოტის მომზადება;<br>• შეუძლია ქვეყნის ფარგლებს გარეთ - საზღვარგარეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებულ დიპლომატიურ წარმადგენლობაში საქმიანობა;<br>• აქვს უნარი, იმოღვაწეოსპოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება, მოამზადოს შესაბამისი საპროექტო წინადადებები მათი დონორი ორგანიზაციებისათვის წარდგენისა | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და შემდგომში გრანტების მიღების მიზნით;<br>• არასამთავრობო ორგანიზაციებში მოღვაწეობის პერიოდში კურსდამთავრებულს ასევე შეეძლება შესაბამის სამთავრობო სტრუქტურას - პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის კანცელარია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი - მოუმზადოს შესაბამისი რეკომენდაციები სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების, ევროინტეგრაციის კომიტეტებს, სახელწიფო მინისტრის აპარატს რეინტეგრაციის საკითხებში და სხვა;<br>• გრანტის მიღების შემთხვევაში, გააჩნია პროექტების მართვის უნარი, რაც დაკავშირებული იქნება სხვადასხვა კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებასთან და გარკვეული კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან;<br>• შეუძლია, მოახდინოს კონკრეტული სიტუაციისთვის საჭირო უნარების (ვერბალური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ.) იდენტიფიცირება და წარმატებით გამოიყენოს კონკრეტული უნარები სიტუაციათა შესაბამისად.<br>**დასკვნის უნარი** • მაგისტრანტს შეუძლია რთული ხასიათის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასკვნები;<br>• გააჩნია შესაძლებლობა, შეაგროვოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში არსებული მასალები დასკვნების გაკეთებისა და ამ მასალების შემდგომში დამუშავების მიზნით;<br>• შეუძლია საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მონაცემთა ინტერპრეტაცია;<br>• აქვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრის, საკუთარი პოზიციის დასაბუთების და დაცვის, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისუნარი;<br>• შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში [illegible] | | |
| | სფეროს აღწერა:<br>ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია იმ სტუდენტებითვის, რომლებსაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა ამერიკისმცოდნეობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე (ამერიკის ისტორია, ლიტერატურა) დაყრდნობით, ამერიკის ექსპერტის სპეციალობით. პროგრამა, რომელიც გვთავაზობს როგორც მულტიდისციპლინარულ, ასევე ინტერდისციპლინარულ კურსებს, ემყარება ბევრი ამერიკული უნივერსიტეტის თანამედროვე მეთოდიკას. პროგრამის პროფესორები და სტუდენტები ინტერესების კომბინირებას ახდენენ ისეთი მრავალფეროვანი ძირითადი ჰუმანიტარული საგნების პერსპექტივებიდან გამომდინარე როგორებიცაა: ამერიკის ცივილიზაცია, ლიტერატურული კრიტიკა, ამერიკის პოპულარული კულტურა, ამერიკის გეოგრაფია და რეგიონალური თავისებურებანი, ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია,ამერიკული მას-მედია და პოლიტიკა და  კვლევის მეთოდები. ეს კურსები იკითხება | ცოდნა და გაცნობიერება - 1. აღნიშნული ინტერდისციპლინარული პროგრამის მეშვეობით სტუდენტები შეიძენენ ღრმა და სისტემურ ცოდნას ამერიკის ისტორიული განვითარების შესახებ ქრონოლოგიაზე დაყრდნობით (XIII-XX საუკუნის დასასრული) რათა დეტალურად გაეცნონ ამერიკის ფორმირების დინამიურ პროცესს, რასაც დასაბამი მისცა კონტინენტზე ემიგრირებული ადამიანების ოცნებებმა და იდეალებმა, კურსი განუვითარებს სტუდენტებს ისტორიულ აზროვნებას და ჩამოაყალიბებს მათ მოქალაქეებად, რომლებიც პატივს სცემენ წარსულს.<br>2. ინგლისური ენის ცოდნა, (ლექსიკა, გრამატიკა) რომელიც, ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, შეესაბამება ჩ1 დონეს<br>3. ბაკალავრიატის დონეზე მიღებული ცოდნის გაღრმავება ისეთ მაპროფილებელ საგნებში, როგორებიცაა: ამერიკის ცივილიზაცია, ამერიკის კულტურა, | | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №09)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 24.05.2011 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...იკისმცოდნეობა<br>...სურენოვანი) | მაღალკვალიფიციური პროფესორების მიერ, მათ შორის არიან საქართველოში ამერიკის საელჩოს მიერ მოწვეული ამერიკელი ფულბრაიტის პროგრამის მეცნიერები.<br>**მიზანი:**<br>ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ ფუნდამენტალური, ღრმა და სისტემური ცოდნა ამერიკის ისტორიაზე დაფუძნებულ ინტერდისციპლინარულ მაპროფილებელ საგნებში: ამერიკის ცივილიზაცია, ამერიკის კულტურა. ამ ინტერდისციპლინარული კურსების მეშვეობით პროგრამა სტუდენტებს ჩამოუყალიბებს ამერიკის ეტაპობრივად განსხვავებული ისტორიისა და კულტურის ხედვას, წინა პლანზე გამოიტანს რა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებას დამოუკიდებლობასთან, ახლადაღმოცენებულ დემოკრატიასთან, მონობასთან, დასავლეთის დასახლებასთან, იმპერიალისტურ ექსპანსიასთან, ეკონომიკურ დეპრესიასთან, ომთან, ტექნოლოგიურ ცვლილებებთან მიმართებაში; ამერიკული საზოგადოების წარმომადგენელთა ბრძოლას ერთმანეთთან. ამასთანავე, წარმატებული სტუდენტები შეძლებენ გამოიკვლიონ, თუ როგორ და რატომ თამაშობს მნიშვნელოვან როლს კულტურა, განსაკუთრებით მასობრივი კულტურა (ფილმი, ტელევიზია, მუსიკა, რეკლამა და სხვ.) ამერიკელების ცხოვრებაში. მაგისტრატურის ეს პროგრამა დაეხმარება სტუდენტებს შეისწავლონ, თუ რას ფიქრობს თვით ამერიკელი ხალხი საკუთარ ხალხზე, თავის ქვეყანაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა მოიცავს არამხოლოდ სალექციო, არამედ კვლევის მეთოდების შესწავლის სისტემას, ის მიაწვდის სტუდენტებს, როგორც თეორიულ, ასევე კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას, რაც დაეხმარებათ სრულყოფილი თეორიული სამაგისტრო ნაშრომის დაწერაში. პროგრამის დასრულებისას მათ ექნებათ როგორც თეორიული, ასევე კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნა. | 4. მაპროფილებელი საგნების ტერმინოლოგიის ცოდნა<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - 1. სტრატეგიული კომპეტენცია (უნარი ეფექტურად დაგეგმო სწავლა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესი)<br>2. საკუთარი აზრის არგუმენტირება, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირება<br>3. უნარი პროფესიული კომუნიკაციისას ადეკვატური (ამერიკის ცივილიზაცია, ამერიკის კულტურა, ამერიკის მთავრობა, ამერიკული მედია) ტერმინოლოგია გამოიყენო მასალის პრეზენტაციის და ანალიზის მიზნით<br>4. სამაგისტრო ნაშრომის დაწერა ამერიკისმცოდნეობაში<br>5. სპეციალური ლიტერატურის ღრმა ანალიზი<br>**დასკვნების უნარი** - 1. აანალიტიკური უნარები<br>2. პრობლემების გადაჭრის უნარი<br>3. . პროგრამის საგნების შესაბამისი თეორიების შედარების და გაანალიზების უნარი<br>4. ამერიკისმცოდნეობის კვლევით/სამაგისტრო ნაშრომში დასკვნების გაკეთების უნარი<br>**კომუნიკაციის უნარი** - 1. ინგლისურ ენაზე ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელიც, ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, შეესაბამება ჩ1 დონეს (აუდირება, საუბარი, კითხვა და წერა)<br>2. არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები (ადეკვატური ჟესტიკულაცია, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი; უნარი გამოიყენო აუდიო-ვიდეო საშუალებები კომუნიკაციისათვის<br>3. პრაგმატული კომპეტენცია (უნარი მიაღწიო პრაქტიკულ ამოცანებს ვერბალური კომუნიკაციისას), რომელიც, ევროკავშირის | 120 | |
| ...იკის<br>...ბული შტატების | აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს 2002 წელს პირველად საქართველოში ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობის შედეგად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გახსნილი საბაკალავრო ინგლისურენოვანი ჰუმანიტარული მულტიდისციპლინარული ამერიკისმცოდნეობის პროგრამის გაგრძელებას. სპეციალური და უნიკალური ამერიკისმცოდნეობის პროგრამა მოიცავს რა სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინების ფართო სპექტრს: ამერიკის ისტორია, ამერიკის ლიტერატურა, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის გეოგრაფია, ამერიკელ ქალთა ისტორია, ამერიკული მედია, ამერიკის პოლიტიკა და სხვა. სტუდენტების განსაკუთრებულმა დაინტერესებამ ამერიკის ისტორიისა | მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული პროგრამის ძირითად ჰუმანიტარულ საგნებზე –ამერიკის ისტორია, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება– დაფუძნებულ საბაზისო ზოგად განათლებაზე დაყრდნობით ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკის, (კონსტიტუციის, პარტიების, კონგრესის უფლებამოსილებების, პრეზიდენტის ინსტიტუტის) და ამერიკის საგარეო პოლიტიკის, კონფლიქტების გადაჭრის, დემოკრატიის ძირითადი საფუძვლების და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა.<br>პოლიტიკური ტერმინოლოგიის ცოდნა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში.<br>ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სტრატეგიული კომპეტენცია (უნარი ეფექტურად დაგეგმო სწავლა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, ასევე თვითკორექცია).<br>საკუთარი აზრის არგუმენტირება, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირება. | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №14)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible]<br>...რთობები<br>...სურენოვანი) | და პოლიტიკისადმი, გადაგვაწყვეტინა შეგვექმნა საბაკალავრო პროგრამის მოდული_ სამაგისტრო პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში, რისი მიზანია გაუღრმავოს სტუდენტებს ცოდნა ამერიკის ისტორიაზე დაყრდნობილი საბაკალავრო საგნების _ ამერიკის ისტორია, პოლიტიკა, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნა სწორედ მისი უნიკალური ემიგრაციული ისტორიული წარსულის მეშვეობით. პროგრამა ჩამოუყალიბებს სტუდენტებს ცოდნას და ხედვას ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე და მის წინაშე მდგარ გამოწვევებზე რაც მოიცავს ორ ეტაპს: პირველი _2001 წლის 10 სექტემბრამდე და მეორე _2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომი პერიოდი. | უნარი პროფესიული კომუნიკაციისას ადეკვატური (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში) ტერმინოლოგია გამოიყენო მასალის პრეზენტაციის და ანალიზის მიზნით.<br>სამაგისტრო ნაშრომის დაწერა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში.<br>სპეციალური ლიტერატურის კითხვა ზედმიწევნით ღრმა გაგებით.<br>**დასკვნის უნარი** - ანალიტიკური უნარები.<br>პრობლემების გადაჭრის უნარი.<br>პოლიტიკური თეორიების შედარებისა და დასკვნის გაკეთების უნარი.<br>კვლევით/სამაგისტრო ნაშრომში დასკვნების გაკეთების უნარი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების სფეროში.<br>**კომუნიკაციის უნარი** - ინგლისურ ენაზე ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელიც, ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, შეესაბამება ñ1 დონეს (აუდირება, საუბარი, კითხვა და წერა).<br>არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები (ადეკვატური [illegible] | 120 | |
| ...რქული<br>...ლოგია | - პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები ფილოლოგიის სფეროში. B41<br>- ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ თურქული ენის ფილოლოგები თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, რომელთაც შეეძლებათ მუშაობა სკოლებში, გაზეთებში, არქივებში.<br>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (დაპროგრამებული სავარჯიშოები, პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოყალიბებული ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უნარი. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (ფილოლოგიური, ლიტერატურული) ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს არის ფილოლოგიის სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი. | • პროგრამის განმავლობაში სამაგისტრო კანდიდატები დაეუფლებიან სავალდებულო სტანდარტებით დადგენილ ღირებულებებს თურქულ ფილოლოგიაში.<br>• კანდიდატი დაეუფლება არგუმენტაციის უნარს და შეძლებს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი თემაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩატარებულ კვლევას. შეიძენს უნარს რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მიდგომების ფორმირებაში, შესაბამის სფეროში.<br>• სამაგისტრო პროგრამა თურქულ ფილოლოგიაში უზრუნველყოფს კანდიდატს შემდეგი ზოგადი უნარებით და შესაძლებლობებით;<br>• სამეცნიერო კვლევის უნარი;<br>• ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი , ასევე თვითშეფასებისა და ზოგადი შეფასების უნარი.<br>• ფილოლოგიური ტერმინების დაუფლება-გამოყენების უნარი პრეზენტაციებსა და ანალიზებში.<br>• წერითი კვლევის უნარი ფილოლოგიის სფეროში და სამეცნიერო | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №10)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 24.05.2011 - ოქმი №2 |
| | პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს სათანადო კომპეტენცია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში. სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური ფილოლოგის აღზრდას. კურსდამთავრებული შეიძენს ინგლისური ენათმეცნიერებისა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ღრმა ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას თანამედროვე აკადემიური და სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად.<br>პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებული აღჭურვოს უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია მომავალი დამოუკიდებელი კვლევისა თუ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის. კურსის მსვლელობისას ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ ინგლისურ ლინგვისტიკაზე (მის სხვადასხვა დარგზე), ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაზე, პედაგოგიკაზე, სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებსა და მაღალი საფეხურის აკადემიური ინგლისურის სპეციფიკაზე, რადგანაც ჩვენი მიზანია ავღზარდოთ ინგლისური ენის ფილოლოგი, რომელიც [illegible] | ცოდნა და გაცნობიერება<br>ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს;<br>თეორიული ცოდნა ლინგვისტიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა გამოყენებითი ლინგვისტიკა, ლექსიკური სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი, კომუნიკაციური გრამატიკა; მოცემულ დარგებში კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკის ცოდნა;<br>ინტერდისციპლინარული კვლევის ცოდნა, როგორიცაა ლინგვოსტილისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი;<br>ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ცოდნა - ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ჟანრები და განვითარების ეტაპები.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>სტრატეგიული კომპეტენცია (სწავლის ეფექტურად დაგეგმვისა და ვერბალური კომუნიკაციის უნარი, ასევი თვითკორექციის უნარი) | | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 13.12.2012 (გადაწყვეტილება №824) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...ლისური<br>...ოგია<br>...სურენოვანი) | [illegible] ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტურად და პროფესიონალიზმით გამოყენებას. ჩვენი კურსდამთავრებულები შეძლებენ ინგლისური ენის მასწავლებლებად იმუშაონ სკოლებში (ნებისმიერ საფეხურზე), უნივერსიტეტებში წაიკითხონ კურსები ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში და აწარმოონ დამოუკიდებელი კვლევები ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.<br>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი მოცულობით დამოუკიდებელი სამუშაო (პროგრამით გათვალისწინებული სავარჯიშოები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოუყალიბდეთ უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური, ლინგვისტური) ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება ენების "გრძნობა", ენის შესწავლისადმი ინტერესი და პატივისცემა საკუთარი და სხვა კულტურისადმი, საგანმანათლებლო სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა. კურსის კონკრეტული მიზნები უზრუნველყოფს, რათა სტუდენტმა:<br>• გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევისა და თეორიების, ანგლო-ამერიკული ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის შესწავლის კუთხით;<br>• მოახერხოს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;<br>• გაიღრმავოს დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები და გამოიყენოს ისინი კვლევასა თუ პროფესიულ პრაქტიკაში;<br>• გამოიმუშაოს დარგისადმი ღრმა ინტერესი და აწარმოოს კვლევები ინგლისური ენის სწავლების, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კუთხით. | საკუთარი მოსაზრების პრაქტიკული მაგალითებითა და თეორიების მეშვეობით განმტკიცების უნარი<br>ინგლისური ენის ფილოლოგიის სფეროში არსებული კვლევის მეთოდების მეშვეობით მნიშვნელოვანი საკითხების კვლევის უნარი<br>დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და გაგება-გააზრების უნარი<br>ინგლისური ენის თეორიასა და ლიტერატურაში მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი დარგისათვის სპეციფიური საკითხების კვლევისას.<br>დასკვნის უნარი<br>ინგლისურ ფილოლოგიაში არსებულ სიკითხებზე დასკვნების გაკეთების უნარი ინდუქციური და დედუქციური მეთოდების, ასევე ანალოგიების გამოყენებით.<br>ანალიტიკური უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულ დასკვნებს, რომლების ეფუძნება მოპოვებულ ინფორმაციასა და მონაცემებს.<br>ლინგვისტიკასა და ლიტერატურულ კვლევებში წამოჭრილი საკითხების შესწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარი.<br>**კომუნიკაციის უნარი**<br>ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელის ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება ß1 დონეს (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა).<br>არავერბალური კომუნიკაციის უნარი (ადექვატური ჟესტები, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი; ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად თვალსაჩინოების გამოყენების უნარი).<br>პრაგმატული კომპეტენცია (ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით პრაქტიკული ამოცანების შესრულების უნარი), რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება C1 დონეს. | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>25.06.2012 - ოქმი №3 |
| ...თლების<br>...ენტი<br>...სურენოვანი) | პროგრანის მიზანია მისცეს სტუდენტსთანამედროვე ცოდნა მოცემულ დარგში და განათლების მენეჯმენტის სათანადო კვალიფიკაცია. ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ განათლების მენეჯერები თანამდროვეობის მოთხოვნების შესაბამისობაში.<br>პროგრამა ყურადღებას ამახვილებს განათლების მენეჯერის მომზადების როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, ისე განათლების მენეჯმენტის კერძო საკითხებზე: ლიდერობაზე განათლებაში, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე განათლების სისტემის მართვაში.<br>პროგრამის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ თავისუფლად გამოიყენონ ინგლისური ენა ყოველდღიური და პროფესიული კომუნიკაციისას (როგორც უცხოეთში, ისე საკუთარ ქვეყანაში უცხოელებთან კომუნიკაციისას). მათ უნდა შეძლონ, იმუშაონ სკოლის ადმინისტრაციაში და განათლების მართვისა და ორგანიზების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში .<br>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი [illegible] | ცოდნა და გაცნობიერება - ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს, იმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება ინგლისურად.<br>განთლების მენეჯმენტის ტერმინოლოგიის ცოდნა და გაცნობიერება.<br>განათლების (პედაგოგიური) და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის ცოდნა და გაცნობიერება .<br>განათლებისა და განათლების მენეჯმენტის თეორიების ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სტრატეგიული კომპეტენცია (უნარი ეფექტურად დაგეგმო სწავლა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, ასევე თვითკორექცია).<br>მიღებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით დარგობრივი პრობლემების გადაჭრის უნარი.<br>თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირება.<br>სპეციალური ლიტერატურის კითხვა ღრმა, მაგისტრის შესაბამისი დონის, გაგებით.<br>განათლების თეორიების შედარების უნარი.<br>**დასკვნის უნარი** - ინდუქციის, დედუქციისა და ანალოგიის გამოყენება დასკვნების გაკეთებისას | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>01.02.2012<br>(გადაწყვეტილება №11)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (დაპროგრამებული სავარჯიშოები, პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოყალიბებული ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უნარი. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური) ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება განათლების მენეჯმენტის სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა. | გამოყენება დასკვნების გამოტანისას.<br>საკუთარი აზრის არგუმენტირება შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით.<br>ანალიტიკური უნარები.<br>კომუნიკაციის უნარი - ინგლისურ ენაზე ვერბალური ზოგადი და პროფესიული (პედაგოგიური, განათლების მენეჯმენტის) კომუნიკაციის კომპეტენცია.<br>არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები (ადეკვატური ჟესტიკულაცია, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი. უნარი გამოიყენო აუდიო-ვიდეო საშუალებები კომუნიკაციისათვის.<br>1პრაგმატული კომპეტენცია (უნარი მიაღწიო პრაქტიკულ ამოცანებს ვერბალური კომუნიკაციისას).<br>პრეზენტაციის უნარ-ჩვევები.<br>სწავლის უნარი - წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები სწავლისას და კვლევისას.<br>უნარი, იპოვო ინფორმაცია ინტერნეტზე და ბიბლიოთეკაში.<br>თვით- და ურთიერთშეფასების უნარი.<br>უნარი, გააგრძელო სწავლა: დაგეგმო სასწავლო პროცესი, | | |
| ...ლისური ენის<br>...ზის მეთოდიკა<br>...სურენოვანი) | პროგრანის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და მასწავლებლის სათანადო კვალიფიკაცია. ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური მასწავლებელი თანამდროვეობის მოთხოვნების შესაბამისობაში.<br>პროგრამა ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მომზადების ზოგადპედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და მეთოდურ ასპექტებზე. პროგრამის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ თავისუფლად გამოიყენონ ინგლისური ენა ყოველდღიური და პროფესიული კომუნიკაციისას (როგორც უცხოეთში, ისე საკუთარ ქვეყანაში უცხოელებთან კომუნიკაციისას). მათ უნდა შეძლონ, იმუშაონ ინგლისური ენის სკოლის მასწავლებლად (ნებისმიერ საფეხურზე) და უნივერსიტეტში ასწავლონ ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები.<br>სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (დაპროგრამებული სავარჯიშოები, პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები) იმისათვის, რომ პროგრამის დამთავრებისას ჩამოყალიბებული ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უნარი. ამ მიზნით საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური) ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ კურსებში. ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იქნება ენების "გრძნობა", ენის შეწსწავლისადმი ინტერესი და პატივისცემა საკუთარი და სხვა კულტურისადმი, საგანმანათლებლო სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა.<br>მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან შედარებით ამ პროგრამაში მიღებული თეორიული ცოდნა უფრო ღრმა გააზრებას მოითხოვს, მის შეძენას მეტი დრო ეთმობა და დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა გაზრდილია, სტუდენტებს მეტი და უფრო რთული ლიტერატურის შესწავლა მოუწევთ. | **ცოდნა და გაცნობიერება** - ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც, ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, შეესაბამება ჩ1 დონეს.<br>ინგლისური ენის სწავლების თეორიების ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სტრატეგიული კომპეტენცია (უნარი ეფექტურად დაგეგმო სწავლა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, ასევე თვითკორექცია).<br>საკუთარი აზრის არგუმენტირება, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირება.<br>**დასკვნის უნარი** - ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიის გამოყენება დასკვნების გამოტანისას.<br>ანალიტიკური უნარები.<br>ინგლისური ენის სწავლების მეტოდიკის დაგრში პრობლემების გადაჭრის უნარი.<br>**კომუნიკაციის უნარი** - ინგლისურ ენაზე ზოგადი და პროფესიული (ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის) ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენცია, რომელიც, ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, შეესაბამება ჩ1 დონეს.<br>არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები (ადეკვატური ჟესტიკულაცია, სხეულის ენა და თვალით კონტაქტი; უნარი გამოიყენო აუდიო-ვიდეო საშუალებები კომუნიკაციისათვის.<br>პრაგმატული კომპეტენცია (უნარი მიაღწიო პრაქტიკულ ამოცანებს ვერბალური კომუნიკაციისას), რომელიც, ევროკავშირის მოთვოვნების მიხედვით, შეესაბამება ჩ1 დონეს.<br>პრეზენტაციის უნარ-ჩვევები.<br>წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.<br>**სწავლის უნარი** - წყვილებში და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები სწავლისას და კვლევისას.<br>უნარი, იპოვო ინფორმაცია ინტერნეტზე და ბიბლიოთეკაში.<br>თვით- და ურთიერთშეფასების უნარი.<br>უნარი, გააგრძელო სწავლა: დაგეგმო სასწავლო პროცესი, ეფექტურად გაანაწილო დრო, გამოიყენო საკუთარი სწავლის სტილის შესაბამისი სწავლის მეთოდები. | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი: 01.02.2012 (გადაწყვეტილება №13)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 24.05.2011 - ოქმი №2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...ლესი განათლების<br>...ტრირება<br>...ურენოვანი) | პროგრანის მიზანია:<br>• მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა უმაღლესი განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში და განათლების ადმინისტრირების მაგისტრის სათანადო კვალიფიკაცია, რათა ისინი გახდნენ ნამდვილი ლიდერები ამ სფეროში და თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ადმინისტრატორები/მენეჯერები.<br>• მოამზადოს განათლების ადმინისტრატორი როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში, ისე განათლების ადმინისტრირების/მენეჯმენტის კერძო საკითხებში, ისეთებში, როგოროცაა ლიდერობა განათლებაში და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება განათლების სისტემის მართვაში.<br>• კურსდამთავრებულებმა შეძლონ თავისუფლად გამოიყენონ ინგლისური ენა პროფესიული კომუნიკაციისას (როგორც უცხოეთში, ისე საკუთარ ქვეყანაში უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობისას). ასევე, შეძლონ, იმუშაონ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში და განათლების მართვისა და ორგანიზების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში.<br>• სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს არამარტო სათანადო ცოდნა, არამედ საკუთარი ცოდნის გაღრმავების მიზნით სწავლის შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) და დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი. ამისთვის საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში) მომზადება, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში, ასევე სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები).<br>• ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იყოს განათლების ადმინისტრირების სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა. | სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს<br>ექნება:<br>ა) ევროპულ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების მეცნიერებებში, ადმინისტრირებასა და მომიჯნავე დარგებში;<br>ბ) დარგის ისტორიის, განათლების მენეჯმენტის სისტემისა და რეფორმების ღრმა ცოდნა, საზოგადოებაში უნივერსიტეტის როლის, პასუხისმგებლობისა და წვლილის გათვითცნობიერება;<br>გ) „კლასიკური" ლიტერატურის ცოდნა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის თაობაზე;<br>დ) განათლების ადმინისტრირების/მენეჯმენტის ევროპულ სივრცეში მიღებული პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განაპირობებს ეფექტურ ადმინისტრირებას/მენეჯმენტს უმაღლესი განათლების სფეროში;<br>ე) განათლების ადმინისტრირების პროცესების ღრმა ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მისაღწევად;<br>ვ) იმის ცოდნა, თუ როგორ შეუძლია სასწავლო პროცესების ბუნების ცოდნას გააუმჯობესოს სწავლების პროცესი;<br>ზ) იმ მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა, რომელსაც ემსახურება უნივერსიტეტი - განავითაროს სტუდენტები და თანამშრომლები საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარის ინეტერესების გათვალისწინებით.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -** სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს<br>ექნება:<br>ა) უნარი, ადეკვატურად გამოიყენოს პროფესიული ტერმინოლოგია მუშაობისას და ლიტერატურის ღრმა გაგებით კითხვისას;<br>ბ) პროფესიული საზოგადოების პრაქტიკულად განვითარების უნარი აზრთა გაზიარებისა და სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით;<br>გ) უნარი, გააუმჯობესოს უმაღლესი განათლება ადმინისტრირების პრინციპების ცოდნაზე, ლიდერობის, კომუნიკაციური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით;<br>დ) უნარი, გადაჭრას პროფესიული პრობლემები შეძენილ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით;<br>ე) უნარი გამოიყენოს შესაბამისი მეთოდები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი) მასალების შეგროვებისას, ინტერპრეტირებისას და წარდგენისას; უმაღლესი განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების უნარი.<br>**დასკვნის უნარი -** რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი შეძლებს:<br>ა) განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას, დამოუკიდებელი და ორიგინალური აზროვნების დემონსტრირებით;<br>ბ) საკუთარი აზრის არგუმენტირებას, ინდუქციისა და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, შედარებისა და ანალოგიის გამოყენებით.<br>გ) კრიტიკულად გაანალიზოს საკუთარი პროფესიული გამოცდილება და განსაზღვროს პროფესიული ზრდის საშუალებები.<br>**კომუნიკაციის უნარი -** თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით შეიძენს:<br>ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარს პროფესიულ გარემოში, სადაც | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>07.02.2014<br>(გადაწყვეტილება №26)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>09.10.2013 ოქმი №11 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სიოლოგია<br>ურენოვანი) | პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის მოთხოვნებს და მიმართულია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად ისეთ მნიშვნელოვან დისციპლინებში როგორებიცაა ანტროპოლიგია, ლინგვისტიკა, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, კავკასიის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>• პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ამ ინტერდისციპლინარული პროგრამის ყველა დარგში;<br>• ყურადღება დაეთმოს სწრაფად ცვლად საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე, საერთაშორისო მოთხოვნების შესაფერის კონკურენტუნარიან სპეციალისტებად;<br>• თეორიული ცოდნის შეძენასა და გაღრმავებასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმოს ქეისებს და პრაქტიკული ამოცანების განხილვებს საერთაშორისო და რეგიონულ პრობლემებზე და საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე;<br>• სტუდენტებს განუვითარდეს პასუხისმგებლობისა და თვითგანათლების უნარი;<br>• სტუდენტებმა შეძლონ წარმატებით დასაქმება და განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.<br>პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს:<br>• განსაზღვრონ კავკასიის და მთლიანად შავი ზღვის რეგიონის როლი გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში;<br>• განსაზღვრონ კავკასიის რეგიონის იდენტურობა და რეგიონალური და კონცეპტუალური თანამშრომლობის დადებითი მხარეები;<br>• გამოიკვლიონ კავკასიური სივრცის ფენომენი ცივი ომის და პოსტ-ცივი ომის პერიოდებში;<br>• განსაზღვრონ კორელაცია უსაფრთხოების ორგანიზებასა და კავკასიური რეგიონალური უსაფრთხოების ფორმატით რისკების (გეოპოლიტიკური და ასიმეტრიული) განეიტრალებას შორის. | **ცოდნა და გაცნობიერება:** კურსდამთავრებულს ექნება:<br>• რეგიონალიზმისა და რეგიონული ურთიერთობების არსის და საერთაშორისო სისტემების პროცესების და ტენდენციების სიღრმისეული ცოდნა;<br>• ძირითადი რეგიონული, ტრანსრეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების და შიდა სტრუქტურის ღრმა ცოდნა;<br>• კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ენერგო უსაფრთხოების პოლიტიკის ცოდნა რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტებში;<br>• გარე სამყაროს (აშშ-ს, ევროკავშირის, ევროპის ძირითადი ქვეყნების, რუსეთის, თურქეთის, ირანის და სხვა) საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ცოდნა;<br>• ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმის და კონტრ-ტერორიზმის საკითხების ცოდნა;<br>• კავკასიის ერების ისტორიისა და კულტურების თავისებურებების ცოდნა;<br>• კავკასიის რეგიონის ენების საფუძვლიანი ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ექნება:<br>• დამოუკიდებლად კვლევის წარმოების უნარი შედარებითი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;<br>• ანალიტიკური მოხსენებების და დოკუმენტების მომზადების უნარი საერთაშორისო, რეგიონულ და შიდაპოლიტიკურ საკითხებზე;<br>• სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტუროლოგიური კომპლექსური პრობლემების გადაჭრის მიზნით მოლაპარაკებებისა და საქმიანი შეხვედრების დაგეგმვისა და მომზადების უნარი;<br>• კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების უნარი სხვა კულტურების და ტრადიციების გათვალისწინებით;<br>• ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზების მოძიების და ეფექტური მართვის უნარი;<br>• კავკასიის სახელმწიფოების და რეგიონების პოლიტიკისა და ეკონომიკის, სოციალური და კულტურული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების თაობაზე ანალიტიკური ანგარიშის ან ნაშრომის მომზადების უნარი;<br>• სამეცნიერო და ანალიტიკური ნაშრომების წერისას საჭირო რესურსების აქტიური გამოყენების უნარი (მაგ. ონლაინ ღია რესურსების და საარქივო მასალების ძიება, სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, ელექტრონული მონაცემების მოძიება, მათ შორის შჩ ღესეარცჰ ატაბასე, ჟშთ ღ).<br>**დასკვნის უნარი:** კურსდამთავრებულს ექნება:<br>• შედარებითი ანალიზის საფუძველზე პროცესების პოლიტიკური, სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობების ინტერპრეტაციის უნარი;<br>• [illegible] | 120 | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №85)<br><br>აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №11) |
| | პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს | **ცოდნა და გაცნობიერება:** სტუდენტი შეიძენს:<br>- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ღრმა და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც მისცემს მას ახალი იდეების შემუშავების საშუალებას და წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერებას;<br>- ცოდნას ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერულ თეორიებში, კონცეფციებში, ძირითად სტრატეგიებსა და პრინციპებში; | | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №91) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...რმაციული<br>...ოგიების<br>...ნტი | მენეჯმენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებსა და საქართველოს სპეციფიკას, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს. კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>• პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ინფორმაციულ ტექნოლოგიების მენეჯმენტში.<br>• ყურადღება დაეთმოს სწრაფად ცვლად საბაზრო პრობლემებზ ეორიენტირებულ სწავლებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე, საერთაშორისო მოთხოვნების შესაფერის კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად გადაჭრან სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.<br>• განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბიზნეს ქეისებზე მუშაობას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, პრაქტიკული ამოცანების განხილვას და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს ისე, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეძლონ:<br>☐ ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი საშუალებების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენება;<br>☐ ბიზნეს პროცესების სტრატეგიულ მთლიანობაში გააზრება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება და იმპლემენტაცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით;<br>☐ ეფექტიანად და კრეატიულად აზროვნება და კომუნიკაცია;<br>☐ საზოგადოების ჰარმონიული არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა და დამკვიდრება;<br>☐ განავითარონ პასუხისმგებლობისა და თვითგანათლების უნარი;<br>☐ სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში. | - ცოდნას სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული მენეჯერული ასპექტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.<br>სტუდენტი გააცნობიერებს საერთაშოროსო და ადგილობრივი ტექნოლოგიური გარემოს სპეციფიკას.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრი, სახელდობრ:<br>- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სრულყოფილი უნარი, ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების განსაზღვრა კონკურენტული გარემოს ანალიზის საფუძველზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების იმპლემენტაცია, მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება;<br>- კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>- პროექტების მართვის სრულყოფილი უნარი უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>კურსდამთავრებულები შეძლებენ:<br>- განსაზღვრონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტები და ფაქტორები, ბიზნესის მამოძრავებელი ძალები;<br>- გააცნობიერონ და განსაზღვრონ მენეჯმენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ორგანიზაციაში და ორგანიზება გაუწიონ კომპანიის ურთიერთობებს;<br>- ჩამოაყალიბონ ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები;<br>- შეაფასონ კომპანიის სტრატეგიული რისკები ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე;<br>შეადგინონ საქმიანი დოკუმენტები.<br>**დასკვნის უნარი:** უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება: | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №11) |
| | | **ცოდნა და გაცნობიერება:** სტუდენტი შეიძენს: პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს ექნებათ:<br>ღრმა და სისტემური ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებებით;<br>მონაცემთა ბაზების არქიტექტურის სიღრმისეული ცოდნა;<br>თანამედროვე ჯ ტექნოლოგიის სიღრმისეული ცოდნა, X /XŠ და ქŠ - | | აკრედიტაციის მიღების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №92) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...იუტერული<br>...ება | პროგრამის მიზანია:<br>□ სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი და ღრმა ცოდნა კომპიუტინგის მათემატიკურ და მეცნიერულ პრონციპებში, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ პოტენციური ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, არქიტექტურების, ინფორმაციული სისტემების გამოყენება პრაქტიკაში;<br>□ სტუდენტებს მისცეს ფართო და კარგად ინტეგრირებული სისტემური ცოდნა იმ კონცეფციებსა და მეთოდოლოგიებში, რაც საჭიროა ინფორმაციის დამუშავების, სისტემების ანალიზის, დიზაინის, ორგანიზაციის, დაპროგრამირებისა და გამოყენებისთვის;<br>□ პროგრამირების ენების, მონაცემთა ბაზების, ქსელური პროტოკოლების, მომხმარებელი/სერვერის ნაწილების არქიტექტურის კომბინაციის გამოყენებით სტუდენტებმა შეძლონ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;<br>□ მოამზადოს სტუდენტები კომპიუტერების გამოყენებით პრობლემების ფართო სპექტრის გადასაჭრელად, ასევე კომპლექსური ამოცანების ამოხსნისთვის საჭირო ეფექტურად მომუშავე კომპიუტერული სისტემების ტექნიკის დიზაინისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად;<br>□ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიაზრონ ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე განივითარონ პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტები და წვლილი შეიტანონ პროფესიის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში;<br>□ სტუდენტებმა შეძლონ წარმატებით დასაქმება და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება. | ის სტრუქტურების საფუძვლიანი ცოდნა;<br>ლოკალური და გლობალური ქსელების და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების სტრუქტურის, ქსელური უსაფრთხოების რთული საკითხების ცოდნა, ღ ჩ გვერდების გამოყენების ღრმა ცოდნა პროტოკოლის განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად;<br>ხელოვნური ინტელექტის ძირითადი პრინციპების და განხრების გაცნობიერება;<br>ალგორითმიზაციის მეთოდების სფეროს ცოდნა, აქსიომატური მეთოდის და ალგორითმების თეორიის გაცნობიერება, ფორმალურ-ლოგიკურ სისტემების - პროპოზიცულ და პრედიკატების ლოგიკის გაცნობა; თეორემების დამტკიცების შინაარსობრივი და ფორმალური მეთოდების, მათემატიკურ სტრუქტურათა იერარქიის კონცეფციის, კონსტურქტიულ ობიექტთა აგების და მათი თვისებების შესწავლის მეთოდების ცოდნა, რაც მათ პროცესების ანალიზის, პროექტირებისა და რეალიზაციის მეთოდების გამოყენებაში დაეხმარებათ;<br>მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლიანი ცოდნა;<br>ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების პრინციპების დანერგვის ცოდნა რთული საკითხების გადასაჭრელად;<br>კვლევის მეთოდების, მეთოდოლოგიის, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და დამუშავების ტექნიკის ცოდნა და გაცნობიერება. მათ შორის, პოზიტივისტური და ინტერპრეტირისტული პარადიგმების სიღრმისეული გაცნობიერება და მათი გამოყენება კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების და მათი კომბინაციების კორექტული გამოყენების ცოდნა რეალური კვლევების ჩატარების დროს. პრაგმატული მეთოდების დამუშავების ცოდნა პირველადი, აღწერითი, ანალიტიკური, საპროგნოზო, ინდუქციური, დედუქციური, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კურსდამთავრებულებს ექნებათ:<br>კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის ტექნიკური დარგების სხვადასხვა სფეროში საქმიანობისას გამოყენების უნარი;<br>ვებ გვერდებისა და აპლიკაციების პრაქტიკულად შემუშავებისა და ინტერნეტში ატვირთვის უნარი, თ გვერდების დაწერის უნარი; ასევე, | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>24.07.2015<br>(გადაწყვეტილება №11) |
| | ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>• მისცეს სტუდენტს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ ცოდნა და ზოგადი განათლების ადმინისტრირების სათანადო კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;<br>• [illegible] | • ცოდნა და გაცნობიერება: ზოგადი განათლების სფეროს ცოდნა და გაცნობიერება - საქართველოს ზოგადი განათლების სტრუქტურისა და მისი სპეციფიკის ცოდნა, საკანონმდებლო ბაზის ცოდა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების ცოდნა | | აკრედიტაციის [illegible]<br>თარიღი:<br>07.08.2015<br>(გადაწყვეტილება №) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დი განათლების<br>ტრირება | [illegible]<br>რადგან საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრატორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ფლობს არა მარტო პროცესების მართვისათვის აუცილებელ ცოდნას, არამედ ღრმად იცნობს სასწავლო კონტექსტს და სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებს;<br>• მოამზადოს განათლების სფეროს ადმინისტრატორი, რომელიც იცნობს როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ასევე განათლების ადმინისტრირების კონკრეტულ საკითხებს - განათლების სფეროს ლიდერობა და ადმინისტრირება, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ზოგადი განათლების სისტემის მართვის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება;<br>• სტუდენტებს გააცნოს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მთლიანად კონცენტრირებულია საქართველოს კონტექსტზე, თანამედროვე სამყაროში ხშირია საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ინიციატივების სესხება-ადაპტირება (საქართველო არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით); შესაბამისად, ცალკეული კონტექსტის შესწავლა უზრუნველყოფს კონკრეტული საგანმანათლებლო მიდგომების უკეთ გააზრებას. საერთაშორისო გამოცდილება ეხმარება განათლების სფეროს პროფესიონალებს დროული და ეფექტიანი საგანმანათლებლო სტრატეგიების, მიდგომებისა და ინიციატივების შემუშავებაში;<br>• სტუდენტს გაუღვივოს სწავლის შემდეგ ეტაპზე (დოქტორანტურაში) გაგრძელების სურვილი. ამისათვის კი საჭიროა გარკვეული თეორიული ბაზისის (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, განათლების ადმინისტრირების) შექმნა, რაც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში;<br>• აღჭურვოს სტუდენტი სათანადო ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რათა იმუშაოს სკოლის ადმინისტრაციაში და ზოგადი განათლების მართვისა და ორგანიზების პროცესზე პასუხისმგებელ სხვადასხვა დაწესებულებაში; | • ზოგადი განათლების ადმინისტრირების სპეციფიური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება - სასწავლო პროცესის ყოველდღიური ადმინისტრირებისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისა და კომპონენტების ცოდნა<br>• განათლების ადმინისტრირების, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიისა და არსის ცოდნა და გაცნობიერება<br>• განათლების ლიდერობისა და ადმინისტრირების თეორიების ცოდნა და გაცნობიერება<br>• განათლების დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა ინგლისურად, რათა სტუდენტი გაეცნოს ინგლისურ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილებას<br>• საჭირო ელექტრონული პროგრამების ცოდნა ( ოწერ ოინტ, იცროსოფტ ჭორდ, ხცელ, ნდ ოტე, ძოტერო)<br>• ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მიღებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური პრობლემების გადაჭრის უნარი - სასწავლო გარემოს განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობა-ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის გააზრება და პრაქტიკაში რეალიზება<br>• თეორიული მსჯელობის პრაქტიკული მაგალითებით განმტკიცების უნარი<br>• საჭიროების შემთხვევაში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით - უნარი ჩაატაროს კვლევა კონკრეტულ სასწავლო გარემოში, რომლის მიზანიცაა ყოველდღიური სასწავლო პრაქტიკის კვლევა ცალკეული აკადემიური კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი:<br>03.08.2015<br>(გადაწყვეტილება №12) |
| | [illegible]<br>მომზადება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება. კერძოდ, შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის მიზანია:<br>☐ მისცეს სტუდენტს შედარებითი კომერციული სამართლის და კორპორაციული | ცოდნა და გაცნობიერება: იცის:<br>როგორც ქართული ასევე უცხო ქვეყნების კომერციული სამართლის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნას, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულს კომერციული სამართლისთვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების, ნორმების სიღრმისეულად გაანალიზებაში; | | აკრედიტაციის [illegible]<br>თარიღი:<br>07.08.2015<br>(გადაწყვეტილება №) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ...რებითი<br>...ული სამართალი | მართვის იმ მნიშვნელოვანი პრინციპების ცონდა, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კომპანიებისათვის და ამ სფეროთი დაინტერესებული მომხმარებლებისთვის;<br>□ მაგისტრანტს შესძინოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობაში კერძო სამართლის მიმართულებით, კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და დახვეწის მიზნით მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით;<br>□ შეასწავლოს სტუდენტს ევროკავშირის კომერციული სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და რიგი პრაქტიკულად საინტერესო საკითხის ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს მიღებული ცოდნა გამოიყენონ მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის;<br>□ შესძინოს მაგისტრანტებს ისეთი ცოდნა და გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემს მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოახდინონ დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და წარმომადგენლობა კომერციული სამართლის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;<br>□ გამოუმუშავოს კურსდამთავრებულს უნარი წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე ურთიერთობაში. მარტივად აღმოაჩინოს სამართლებრივი დარღვევები (არსებობის შემთხვევაში) და საქმიანობის სწორი სტრატეგიული დაგეგმვით შეიმუშავოს პოზიცია და მიიღოს შესაბამისი სწორი გადაწყვეტილებები;<br>□ მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა ძირითადი სამართლებრივი სისტემების - კონტინენტალური სამართლისა და საერთო სამართლის თავისებურებებისა და პრაქტიკული ასპექტების შესახებ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან და კონკრეტულად, კომერციულ (ბიზნეს) სამართალთან მიმართებაში;<br>□ მაგისტრანტებს განუვითაროს საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და დარგობრივი სამართლის კომპლექსური საკითხების გადაწყვეტისას, მათი ადეკვატური გამოყენების უნარი;<br>□ უზრუნველყოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები სამართლებრივი ანალიზისა და წერითი უნარის ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნით. მოამზადოს ისინი ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიონალური სამართლებრივი ნაწერის მომზადებისა და წარდგენის, სრულყოფილი ანალიზის, საკუთარი და სხვის მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების შეფასებების უნარში;<br>□ ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე დადგენილი სტანდარტების მიხედვით შეიძინონ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება კერძო სამართლის მიმართულებით საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოების, საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელებისას, საპროცესო დოკუმენტების შედგენისას. ასევე, დაეუფლონ საადვოკატო, საპროკურორო და | შედარებითი კომერციული სამართლის დარგების სისტემური ცოდნას, რომელიც მისცემს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, ცალკეული პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი გზების გაცნობიერებას;<br>როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების მოსამართლეთა, ადვოკატთა, პროკურორთა საქმიანობის პროფესიული სტანდარტების, პროფესიული ეთიკის კოდექსებისა და მათი ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნას;<br>საერთაშორისო კომერციული სამართლის მიმართულებით ევროპის ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ მყარი ცოდნას;<br>შედარებითი კერძო სამართლის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, სიღრმისეული ცოდნას.<br>• გაცნობიერებული ექნება სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** შეძლებს:<br>მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების მეშვეობით;<br>მოახდინოს დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და წარმომადგენლობა კომერციული სამართლის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;<br>წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე ურთიერთობაში;<br>კლიენტთან ურთიერთობას, სასამართლოსთან კომუნიკაციასა და საპროცესო დოკუმენტაციის შედგენას როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენებზე;<br>წარმომადგენლობის განხორციელებას, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;<br>საქმის წარმოებას როგორც საერთო სასამართლოებში, ასევე საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში;<br>იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას.<br>ექნება სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.<br>**დასკვნის უნარი:** ექნება:<br>კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი თვალსაზრისის დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი;<br>დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; | 120 | აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი: 03.08.2015 (გადაწყვეტილება №12) |

...ის შევსების თარიღი: 25.08.2015

...ნა:

რექტორი დოქტ. ილიას ჩილოღლუ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY

IBSU

No / ნომერი: 015/01/062 Date / თარიღი: 09.02.2015

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ შევსებულ ანკეტა-კითხვარს და ანოტაციას 2015-2016 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების შესახებ.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი და 1 (ერთი) კომპაქტ-დისკი.

პატივისცემით,

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

კანცლერი - რექტორის უფლებამოსილი პირი: რესულ დიქმენი

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ/№2
თბილისი, საქართველო
ტელ: (+99532) 2595006 / 2595007 / 2595008
ფაქსი: (+99532) 2595005

Address: D. Agmashenebeli Alley 13th km.
No: 2 Tbilisi, GEORGIA
Tel: (+99532) 2595006 / 2595007 / 2595008
Fax: (+99532) 2595005

e-mail: info@ibsu.edu.ge

გვერდი №1

| | |
|---|---|
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა: | კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება: | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი | დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ., №2, თბილისი, 0131; ტელ: +995 32 2595005/06/07 |
| ელფოსტა | contact@ibsu.edu.ge |
| ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | ილიას ჩილოღლუ, 558957035, rector@ibsu.edu.ge |
| საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა) | დიანა მჭედლიშვილი, ტელ: 599110829, ელ. ფოსტა: dmtchedlishvili@ibsu.edu.ge |
| სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის | მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით წარმოადგენს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აპლიკაციის შევსებულ ფორმას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ისარგებლებს 20%-იანი შეღავათით. |

| სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება | სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება | მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება | აკრედიტებულია თუ ავტორიზებულია | დაფინანსება | სწავლების ენა | წლიური გადასახადი | სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა | სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი: A ტიპის ტესტი | B ტიპის ტესტი | C ტიპის ტესტი | სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები: სულ | წაკითხულის გააზრება | ანალიტიკური წერა | ლოგიკური მსჯელობა | რაოდენობრივი მსჯელობა | უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება: სულ | | | იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | | | | | | | | |
| 1.ფინანსები | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 20 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 2. ფინანსები | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | აკრედიტებული | დიახ | ქართული | 4500 | 20 | | v | | | | | | | 100 | 70 | 30 | |
| 3. მარკეტინგი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 20 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 4. მენეჯმენტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 20 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი | ბიზნესი და ეკონომიკა | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4500 | 10 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 6. კომპიუტერული მეცნიერება | მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა | ინჟინერიის მაგისტრი კომპიუტერულ მეცნიერებაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 12 | | v | | | | | | | 100 | 60 | 40 | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა | სოციალური მეცნიერებები | სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 4200 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 8. ამერიკისმცოდნეობა | ჰუმანიტარული მეცნიერებანი | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 5 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 9. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები | ჰუმანიტარული მეცნიერებანი | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 10 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 10. თურქული ფილოლოგია | ჰუმანიტარული მეცნიერებანი | მაგისტრი თურქულ ფილოლოგიაში | აკრედიტებული | დიახ | თურქული | 3540 | 6 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 11. ინგლისური ფილოლოგია | ჰუმანიტარული მეცნიერებანი | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 12. განათლების მენეჯმენტი | განათლება | განათლების მაგისტრი | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 13.ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა | განათლება | განათლების მაგისტრი ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 8 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 14. უმაღლესი განათლების ადმინისტრირება | განათლება | განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში | აკრედიტებული | დიახ | ინგლისური | 3540 | 15 | v | | | | | | | | 100 | 60 | 40 | |

ანკეტის შევსების თარიღი: 09.02.2015 რექტორი დოქტ. ილიას ჩილოღლუ

ბ.ა.